2022 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიში

დირექტორი ვლადიმერ ტატიშვილი

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

# აჭარის ტელევიზია და რადიოს

# დირექტორის საქმიანობის

# ყოველკვარტალური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი:

2022 წლის

მეოთხე კვარტალი

01/10/2022-31/12/2022

2022 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიში
დირექტორი ვლადიმერ ტატიშვილი

ბათუმი

სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
   რადიო - შედეგები და საჭიროებები;
   ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;
   მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის სახელმწიფო შესყიდვები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
10. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
11. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
12. ჩვენი სხვა აქტივობები;
13. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
14. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

<u>შესავალი</u>

საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელმძღვანელობს მრჩეველთა საბჭოს და სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტებით, კანონმდებლობით დადგენილი შინაარსობრივი ვალდებულებებით. მაუწყებლის ამოცანაა ყველა ის საინფორმაციო, ანალიტიკური, დოკუმენტური, შემეცნებითი, სპორტული და სხვა მიმართულების გადაცემა, რომელიც მზადდება, დროულად და ხარისხიანად მივიდეს მაყურებლამდე და მსმენელამდე.

**წარმოგიდგენთ 2022 წლის მეოთხე კვარტალის (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) შედეგებს.**

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

<u>ჩვენი წინასწარი დაგეგმვა</u>

- მომავალი (2023 წლის) წლის ბიუჯეტის დაგეგმვა/წარდგენა;
- საახალწლო გადაცემების ჩაწერა;
- ყოველდღიური გადაცემა ეკონომიკის ბადეში ჩაშვება;
- თბილისის ბიუროში საორგანიზაციო ცვლილებების განხორციელება;
- მომავალი წლის პროექტების შესახებ კონკურსების გამოცხადება;
- ბიუჯეტით გათვალისწინებული ტექნიკის შესყიდვა;
- ევროინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებული პროექტის ჩაშვება;
- სატელევიზიო ტიხრების ჩაშვება ზურაბ გორგილაძის ლექსებიდან ამონარიდების მიხედვით;
- ამინდის შესახებ პროექტის მომზადება სავარაუდო დასახელებით „დარი სად არის კობა ფარტენაძესთან ერთად“;
- საინფორმაციო გადაცემიდან სპორტის გამოყოფა და გადაცემის სახით მაყურებლისათვის მიწოდება.
- რადიო გადაცემა კინობლოგის საეთერო ბადეში ჩასმა.

<u>კვარტლის მიღწევები:</u>

- მომზადებული იქნა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარედგინა მრჩეველთა საბჭოს და მოხდა მისი შეთანხმება, ხოლო შემდგომ კი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცება;
- განხორციელდა საახალწლო გადაცემების, არტების და ტიხრების ჩაწერა და ეთერში განთავსება;
- ბადეში ჩაეშვა გარე წარმოების ყოველდღიური გადაცემა ეკონომიკის შესახებ „ბიზნეს-სტანდარტი“;
- დაკომპლექტდა და ტექნიკურად აღიჭურვა თბილისის ბიუროს ოფისი;
- განხორციელდა ბიუჯეტით გათვალისწინებული ტექნიკის, საქონელისა და მომსახურების შესყიდვა;
- ბადეში ჩაეშვა ევროინტეგრაციის თემატიკასთან დაკავშირებული ახალი გადაცემა;

- რადიოს საეთერო ბადეში ჩაეშვა პროგრამათაშორისები „ზურაბ გორგილაძის 100 ლექსი“;
- რადიოს საეთერო ბადეში ჩაეშვა ახალი გადაცემა „კინობლოგი“.

**<u>კვარტლის გამოწვევა</u> -** მთავარ გამოწვევად (როგორც კვარტლის, ისე ზოგადად) კვლავ რჩება, მაუწყებლის ადამიანური რესურსების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, არსებული ორგანიზაციული რისკების იდენტიფიცირება, მათი მინიმუმამდე დაყვანის მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

**„პროგრამა=პრიორიტეტს“ შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ორიენტირებული იყო პროგრამული პრიორიტეტების შესრულებაზე. მაქსიმალურად ვცდილობდით გაგვეშუქებინა მთავარი გამოწვევები. აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა ახალი პროექტების შექმნის მიზნით კონსულტაციები.

**ინტერნეტი-შედეგები:** სამსახურის დებულების თანახმად, ვებგვერდზე და სოცქსელებში აიტვირთა ეთერში გასული გადაცემები, რომელიც შემოქმედებითი სამსახურის თანამშრომლებმა მოამზადეს ტელევიზიასა და რადიოში.

• ვიდეო მასალები დახარისხდა და აიტვირთა მაუწყებლის youtube არხზე;

• სოცქსელებში გადაზიარდა გადაცემების ანონსები, საიმიჯო თუ საინფორმაციო ვიდეორგოლები;

• დამუშავდა, დახარისხდა და აიტვირთა მაუწყებლის ადმინისტრაციისა და მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და სხდომები;

• ტვ გადაცემების ფბ გვერდებზე - „არტ-ექსპერტი“, „ვემსახურები საქართველოს“, „სახალხო კონტროლი“, “დიდი შესვენება“, “ბიბლიოთეკა“, ‘’ბუნების კანონი’’ დაიჭრა და განთავსდა დამოუკიდებელი კონტენტის სახით.

აიტვირთა ტოქ-შოუები,

• აქტიურად დავიწყეთ Instagram-ზე მუშაობა.

გადაცემების ფეისბუქ გვერდების მონაცემები /შიდაკონკურენცია/

გთავაზობთ მოქალაქეების ინტერაქციის (კომენტარები, ემოციები, გაზიარებები) მიხედვით კვარტლის მონაცემებს:

LIVE DISPLAYS INTELLIGENCE SEARCH

10/01/2022 - 01/05/2023 Go

| | Page Name | Total Interactions | Interaction Rate | Avg. Posts Per Day | Views on Owned Videos | Page Followers | Growth % and # |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Average Total | 27,223.56 | 0.780% | 4.67 | 488,644.69 | 34,276 | +4.28% |
| 1 | აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი | 172,523 | 0.017% | 56.99 | 2.63M | 185,318 | +3.03% +5,445 |
| 2 | ერთი დღე სოფელში | 119,944 | 2.365% | 0.74 | 1.24M | 72,699 | +6.72% +4,579 |
| 3 | დილის ტალღა / Dilis Talga | 66,440 | 0.452% | 4.11 | 1.86M | 38,998 | +13.17% +4,538 |
| 4 | სპორტკლუბი / SportClub | 28,057 | 1.098% | 2.72 | 505,449 | 9,871 | +4.64% +438 |
| 5 | დიდი შესვენება . Ajara TV | 19,024 | 0.31% | 4.26 | 784,606 | 16,094 | +18.19% +2,477 |
| 6 | მე ვარ ფერმერი / Me Var Fermeri | 18,674 | 2.315% | 0.11 | 551,535 | 75,343 | +5.75% +4,098 |
| 7 | დილის რადიო | 3,482 | 0.15% | 3.44 | 71,308 | 6,849 | +5.01% +327 |
| 8 | ვემსახურები საქართველოს | 2,698 | 0.62% | 0.21 | 33,204 | 21,632 | +0.27% +58 |
| 9 | Gastro Lovers | 1,936 | 2.93% | 0.07 | 64,345 | 9,580 | +3.43% +318 |
| 10 | ჰეშთეგი / Hashtag | 1,178 | 0.031% | 0.56 | 33,467 | 67,157 | -0.03% -17 |
| 11 | ART ექსპერტი / ART Expert | 749 | 0.388% | 0.77 | 23,026 | 2,371 | +4.31% +98 |
| 12 | ბუნების კანონი | 397 | 0.43% | 0.09 | 13,796 | 10,263 | +0.63% +64 |
| 13 | ბიბლიოთეკა | 348 | 0.529% | 0.11 | 5,686 | 5,925 | +2.38% +138 |
| 14 | იმპულსი • Impulsi | 68 | 0.055% | 0.11 | 1,281 | 10,870 | +0.07% +8 |
| 15 | თეთრი კვადრატი / White Quadrat | 35 | 0.785% | 0.04 | 34 | 1,025 | +1.18% +12 |
| 16 | ZOOM განათლებაზე | 24 | — | 0.44 | 286 | 14,421 | -0.30% -44 |

მაუწყებლის მთავარი გვერდის შემდეგ, ყველაზე მაღალი ინტერაქცია (კომენტარები, ემოციები, გაზიარებები და მოწონებები) - „ერთი დღე სოფელში“ ფბ გვერდს აქვს.

მთლიანი წლის განმავლობაში შიდაკონკურენციაში ლიდერობა არ დაუკარგავს. გვერდს სამ თვეში 4700 ფოლოუერი მოემატა და 72 699 მიმდევარი ჰყავს. 109 ათასზე მეტი ინტერაქცია ჰქონდა.

ვიდეოების ნახვები კი საერთო ჯამში 1.24 მილიონს შეადგენს.

2. ინტერაქციის კუთხით მეორე ადგილი უჭირავს (მაუწყებლის გადაცემებს შორის) „დილის ტალღას“. გადაცემის აუდიტორია 39 ათასამდე გაიზარდა. გადაცემის ვიდეოების ნახვა კი მაღალია - 1.86M, რაც შეეხება ინტერაქციას 66 ათასზე მეტი ემოცია და გაზიარება ჰქონდა გადაცემის მასალებს.

3. მესამე ადგილზე ინტერაქციის მიხედვით „სპორტკლუბია“. გვერდის მიმდევრების რაოდენობა 10 ათასამდე ფოუერი ჰყავს, თუმცა ინტერაქციამ 28 ათას გადააჭარბა. ფბ გვერდზე ვიდეოების ყურება - 505 400 ნახვა.

4 მეოთხე ადგილზე „დიდი შესვენება“ – ფოლოუერები 16 ათასი, ინტერაქცია 19 ათასი, ვიდეოების ყურების მაჩვენებელი - 785 ათასამდე.

5. მეხუთე ადგილზეა გადაცემა „მე ვარ ფერმერი“. როგორც ინტერაქციის ნაწილში (18 ათასია), ასევე ვიდეოების ნახვის რაოდენობით 551 ათასია, გასულ კვარტალში მილიონ 400 ათასი ნახვა ჰქონდა გვერდზე განთავსებულ ვიდეოებს.

ამ სქრინზე კი ნახავთ გადაცემების რეიტინგებს დადებული ვიდეობის ნახვების მიხედვით. აღსანიშნავია არტ ექსპერტის მზარდი სტაბილური დინამიკა, მას 2 700-მდე მიმდევარი ჰყავს.

DS · LIVE DISPLAYS · INTELLIGENCE · SEARCH

10/01/2022 - 01/05/2023 Go

| | Page Name | Total Interactions | Interaction Rate | Avg. Posts Per Day | Views on Owned Videos | Page Followers | Growth % and # |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Average Total | 27,223.56 | 0.780% | 4.67 | 488,644.69 | 34,276 | +4.28% |
| 1 | აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი | 172,523 | 0.017% | 56.99 | 2.63M | 185,318 | +3.03% +5,445 |
| 2 | ერთი დღე სოფელში | 119,944 | 2.365% | 0.74 | 1.24M | 72,699 | +6.72% +4,579 |
| 3 | დილის ტალღა / Dilis Talga | 66,440 | 0.452% | 4.11 | 1.86M | 38,998 | +13.17% +4,538 |
| 4 | სპორტკლუბი / SportClub | 28,057 | 1.098% | 2.72 | 505,449 | 9,871 | +4.64% +438 |
| 5 | დიდი შესვენება . Ajara TV | 19,024 | 0.31% | 4.26 | 784,606 | 16,094 | +18.19% +2,477 |
| 6 | მე ვარ ფერმერი / Me Var Fermeri | 18,674 | 2.315% | 0.11 | 551,535 | 75,343 | +5.75% +4,098 |
| 7 | დილის რადიო | 3,482 | 0.15% | 3.44 | 71,308 | 6,849 | +5.01% +327 |
| 8 | ვემსახურები საქართველოს | 2,698 | 0.62% | 0.21 | 33,204 | 21,632 | +0.27% +58 |
| 9 | Gastro Lovers | 1,936 | 2.93% | 0.07 | 64,345 | 9,580 | +3.43% +318 |
| 10 | ჰეშთეგი / Hashtag | 1,178 | 0.031% | 0.56 | 33,467 | 67,157 | -0.03% -17 |
| 11 | ART ექსპერტი / ART Expert | 749 | 0.388% | 0.77 | 23,026 | 2,371 | +4.31% +98 |
| 12 | ბუნების კანონი | 397 | 0.43% | 0.09 | 13,796 | 10,263 | +0.63% +64 |
| 13 | ბიბლიოთეკა | 348 | 0.529% | 0.11 | 5,686 | 5,925 | +2.38% +138 |
| 14 | იმპულსი • Impulsi | 68 | 0.055% | 0.11 | 1,281 | 10,870 | +0.07% +8 |
| 15 | თეთრი კვადრატი / White Quadrat | 35 | 0.785% | 0.04 | 34 | 1,025 | +1.18% +12 |
| 16 | ZOOM განათლებაზე | 24 | — | 0.44 | 286 | 14,421 | -0.30% -44 |

აღსანიშნავია, რომ ფბ მთვლელი, ერთ ნახვად თვლის ნებისმიერი სახის ვიდეოს გახსნას - 3 წამიანსაც და 1 წუთზე მეტსაც.

სიუჟეტები, რომლებსაც ამ კვარტალში ყველაზე მეტი ნახვა აქვთ. აჭარის მაუწყებლის აუდიტორია ძალიან ემოციურად უყურებს ამ თემას. რძლისა და დედამთილის შესახებ ვიდეოებს აქვს ყველაზე მეტი ნახვა, ყველა გადაცემების ვიდეოებსა და სიუჟეტებს შორის.



ერთი ვიდეო დილის ტალღისა, მეორე კი დიდი შესვენების.




ინტერქაციის თვალსაზრისით, ყველაზე პოპულარულ პოსტებს შორის მოხვდა ბასილაშვილის საქმეზე გადაწყვეტილება. აჭარის მაუწყებლის გვერდებზე ასევე ნახვადი და პოპულარული იყო სხვა სპორტული ინფორმაცია, ვიდეოები ტრაგიკულ შემთხვევებზე (ქალის გადმოვარდნა 16 სართულიდან, ხანძარი ვოქსში, მამამთილის მიერ მოკლული ქალის ისტორია).

მაუწყებლის instagram გვერდის მონაცემები ბოლო ორ თვეში ინსტაგრამზე 100-ზე მეტი პოსტი გამოქვეყნდა, ამ ეტაპზე გვერდზე ვცდილობთ აუდიტორიის გაზრდას. პირველ პერიოდში 10 ათასამდე ავიდა პოსტების ხილვადობა - reach 2 ათასზე მეტი ნახვა აქვს ვიდეოებს.



მაუწყებლის ფბ მთავარი გვერდი და კონკურენტი არხები

რაც შეეხება მაუწყებლის მთავარ გვერდს, ძირითადად ამ გვერდზე ახალი ამბები იდება. აუდიტორიის ინტერაქციისა და ჩართულობის კუთხით, საქართველოს მასშტაბით „საინფორმაციო ბაზარზე" 24-ე პოზიციაზე ვართ.



| | Page Name | Total Interactions | Interaction Rate | Avg. Posts Per Day | Views on Owned Videos | Page Followers | Growth % and # |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Average Total | 692,725.82 | 0.119% | 24.31 | 8.10M | 214,880.09 | +2.45% |
| 1 | მთავარი არხი • Mtavari Arkhi | 15.63M | 0.148% | 93.04 | 206.70M | 1,198,792 | +4.55% +52,205 |
| 2 | Rustavi 2 • რუსთავი 2 | 5.30M | 0.132% | 35.77 | 51.72M | 1,168,569 | +2.24% +25,613 |
| 3 | TV Imedi | 3.42M | 0.034% | 94.96 | 32.64M | 1,108,789 | +0.61% +6,775 |
| 4 | ambebi.ge • ამბები.ge | 1.76M | 0.077% | 57.11 | 1.12M | 412,456 | +1.47% +5,986 |
| 5 | რადიო თავისუფლება | 1.53M | 0.064% | 43.15 | 12.90M | 581,133 | +2.44% +13,822 |
| 6 | TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი | 1.49M | 0.164% | 93.56 | 33.00M | 115,427 | +36.86% +31,089 |
| 7 | palitravideo.ge | 1.47M | 0.107% | 46.95 | 6.27M | 305,397 | +2.46% +7,344 |
| 8 | Formula • ფორმულა | 1.21M | 0.024% | 66.78 | 21.34M | 766,898 | +0.07% +505 |
| 9 | პრაიმშოუ • PrimeShow | 699,557 | 0.664% | 2.3 | 17.27M | 481,112 | +3.75% +17,368 |
| 10 | კვირის პალიტრა • kvirispalitra.ge | 601,264 | 0.133% | 37.05 | 658,023 | 127,373 | +2.22% +2,764 |
| 11 | POSTV - ახალი ამბები | 586,204 | 0.117% | 30.38 | 8.42M | 172,951 | +4.84% +7,988 |
| 12 | Tabula - ტაბულა | 575,786 | 0.111% | 16.96 | 2.51M | 316,578 | +0.48% +1,499 |
| 13 | BMG • ბიემჯი | 564,940 | 0.028% | 82.3 | 8.76M | 259,246 | +5.62% +13,801 |
| 14 | InterPressNews.ge | 442,211 | 0.073% | 41.82 | 1.49M | 149,637 | +1.31% +1,932 |
| 15 | Euronews Georgia | 421,444 | 0.241% | 17.39 | 11.93M | 116,749 | +29.48% +26,582 |
| 16 | ამერიკის ხმა | 317,322 | 0.068% | 15.06 | 7.23M | 324,217 | +1.72% +5,488 |
| 17 | ბათუმელები • Batumelebi.ge | 308,748 | 0.072% | 22.2 | 1.28M | 202,330 | +3.23% +6,340 |
| 18 | პირველი არხი | 289,514 | 0.016% | 32.3 | 4.88M | 579,608 | +1.53% +8,735 |
| 19 | On.ge | 285,270 | 0.031% | 45.95 | 1.87M | 208,291 | +1.52% +3,120 |
| 20 | კურიერი • P.S. | 274,489 | 1.665% | 1.77 | 9.27M | 101,680 | +13.11% +11,788 |
| 21 | NEWS.On.ge | 265,224 | 0.03% | 48.05 | 1.65M | 185,360 | +0.94% +1,732 |
| 22 | Kavkasia TV • ტელეკომპანია კავკასია | 209,399 | 0.136% | 20.73 | 524,599 | 76,480 | -0.18% -136 |
| 23 | ალია | 177,172 | 0.081% | 47.05 | 25,906 | 47,185 | +2.02% +934 |
| 24 | აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი | 172,762 | 0.017% | 57.06 | 2.65M | 185,318 | +3.03% +5,445 |
| 25 | Ipress.ge | 116,952 | 0.014% | 51.84 | — | 158,709 | -0.11% -174 |
| 26 | კომერსანტი • Commersant | 110,220 | 0.049% | 22.21 | 230,144 | 104,495 | +2.57% +2,622 |

რაც შეეხება გვერდზე დადებული ვიდეოების ნახვებს, ამ სტატისტიკით უკეთესი მონაცემები გვაქვს და მე-16 პოზიციაზე ვართ. თუ მხოლოდ ტელევიზიებს განვიხილავთ, ამ შემთხვევაში მე-11 ადგილზე გადმოვინაცვლებთ.

10/01/2022 – 01/05/2023 Go

| | Page Name | Total Interactions | Interaction Rate | Avg. Posts Per Day | Views on Owned Videos | Page Followers | Growth % and # |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Average Total | 692,769.55 | 0.119% | 24.31 | 8.10M | 214,880.20 | +2.45% |
| 1 | მთავარი არხი • Mtavari Arkhi | 15.63M | 0.148% | 93.04 | 206.70M | 1,198,792 | +4.55% +52,205 |
| 2 | Rustavi 2 • რუსთავი 2 | 5.30M | 0.132% | 35.77 | 51.72M | 1,168,569 | +2.24% +25,613 |
| 3 | TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი | 1.49M | 0.164% | 93.56 | 33.00M | 115,427 | +36.86% +31,089 |
| 4 | TV Imedi | 3.42M | 0.034% | 94.96 | 32.64M | 1,108,789 | +0.61% +6,775 |
| 5 | Formula • ფორმულა | 1.21M | 0.024% | 66.78 | 21.34M | 766,904 | +0.07% +511 |
| 6 | პრაიმშოუ • PrimeShow | 699,557 | 0.664% | 2.3 | 17.27M | 481,112 | +3.75% +17,368 |
| 7 | რადიო თავისუფლება | 1.53M | 0.064% | 43.15 | 12.90M | 581,133 | +2.44% +13,822 |
| 8 | Euronews Georgia | 421,444 | 0.241% | 17.39 | 11.93M | 116,749 | +29.48% +26,582 |
| 9 | კურიერი • P.S. | 274,489 | 1.665% | 1.77 | 9.27M | 101,680 | +13.11% +11,788 |
| 10 | BMG • ბიემჯი | 564,940 | 0.028% | 82.3 | 8.76M | 259,246 | +5.62% +13,801 |
| 11 | POSTV - ახალი ამბები | 586,204 | 0.117% | 30.38 | 8.42M | 172,951 | +4.84% +7,988 |
| 12 | ამერიკის ხმა | 317,322 | 0.068% | 15.06 | 7.23M | 324,217 | +1.72% +5,488 |
| 13 | palitravideo.ge | 1.47M | 0.107% | 46.95 | 6.27M | 305,397 | +2.46% +7,344 |
| 14 | პირველი არხი | 289,704 | 0.016% | 32.35 | 4.89M | 579,608 | +1.53% +8,735 |
| 15 | POSTV - გართობა | 105,463 | 0.047% | 3.87 | 4.24M | 597,243 | +0.82% +4,867 |
| 16 | აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი [illegible] | 172,762 | 0.017% | 57.06 | 2.65M | 185,318 | +3.03% +5,445 |
| 17 | Tabula - ტაბულა | 575,786 | 0.111% | 16.96 | 2.51M | 316,578 | +0.48% +1,499 |
| 18 | On.ge | 285,270 | 0.031% | 45.95 | 1.87M | 208,291 | +1.52% +3,120 |
| 19 | NEWS.On.ge | 265,224 | 0.03% | 48.05 | 1.65M | 185,360 | +0.94% +1,732 |
| 20 | InterPressNews.ge | 442,943 | 0.073% | 41.88 | 1.49M | 149,637 | +1.31% +1,932 |
| 21 | ბათუმელები • Batumelebi.ge | 308,748 | 0.072% | 22.2 | 1.28M | 202,330 | +3.23% +6,340 |
| 22 | ambebi.ge • ამბები.ge | 1.76M | 0.077% | 57.19 | 1.12M | 412,456 | +1.47% +5,986 |
| 23 | კვირის პალიტრა • kvirispalitra.ge | 601,264 | 0.133% | 37.05 | 658,023 | 127,373 | +2.22% +2,764 |
| 24 | POSTV | 17,011 | 0.035% | 2.04 | 616,180 | 245,006 | +1.14% +2,754 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | +0.69% |

## მაუწყებლის Youtube არხი

მაუწყებლის Youtube არხი 900 ათასი ნახვა, 22 ათასი ფოლოუერი







ყველაზე ნახვადი ვიდეოები იუთუბის არხზე „სახალხო კონტროლის“ გადაცემებია, ასევე, რამდენიმე საახალწლო ეთერიდან ამოჭრილი სიმღერა ან მონაკვეთი.

მეოთხე კვარტალში ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების (გრიპის ვირუსის ფართო გავრცელება) გათვალისწინებით (თანამშრომელთა ნაწილი პერიოდულად ინფიცირდებოდა), ახალი ამბების სამსახურს შეზღუდული ადამიანური რესურსით უწევდა მუშაობა, რის გამოც წამყვანების, რეპორტიორების, ოპერატორებისა და ტექნიკური პროდიუსერების ჯგუფებს უწევდათ ერთმანეთის ჩანაცვლება. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, სამსახურმა შეძლო დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება. წლის მეოთხე კვარტალი ახალი ამბების სამსახურისთვის იყო ძალიან დატვირთული, ახალი ამბების ობიექტივს მიღმა არ დარჩენილა არცერთი აქტივობა, როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური თუ კულტურული. მნიშვნელოვან რესურსს მოითხოვდა ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაცემული 12 (თორმეტი) რეკომენდაციის ირგვლივ მიმდინარე პროცესის გაშუქება, გამომდინარე მათი მნიშვნელობიდან მაუწყებლის ახალი ამბების სამსახურმა მოიცვა ყველა რეკომენდაციის განხილვა, როგორც საპარლამენტო ისე სამოქალაქო ფორმატში, ეთერში მოხვდა

ყველა განსხვავებული აზრი ამ თემაზე და ყოველდღიურად ეთმობოდა მინიმუმ ერთი სიუჟეტი, როგორც რეკომენდაციების განხილვის ისევე მათი შესრულების გაშუქებას. დიდი ყურადღება დაეთმო რეგიონში ტურისტული სეზონის დასრულების შედეგებსა და მომავალ პროექტებს ისევე როგორც სხვა რეგიონის მასშტაბით მიმდინარე ყველა პროექტს.გარდა ამისა მაუწყებელს ჰქონდა საგანგებო ეთერი ბათუმში ე.წ. ვოქსის შენობაში მომხდარ  ხანძართან დაკავშირებით ინფორმაციის მოსვლისთანავე მოხერხდა რესურსის მობილიზება და უწყვეტ რეჟიმში ღამის 12 საათიდან 4 საათამდე გვქონდა უწყვეტი პირდაპირი ჩართვა და საინფორმაციო გამოშვება. საახალწლო ეთერის პერიოდი იყო ძალიან დატვირთული, მაუწყებელმა მოიცვა ქვეყნის ყველა რეგიონი, რომელთა შესახებაც მომზადდა სიუჟეტები, ახალი წლის ღამეს საინფორმციო გამოშვება 2 საათ ნახევრის განმავლობაში მაუწყებლობდა, როგორც სტუდიიდან ისევე ბათუმის მთავარი ნაძვის ხის ტერიტორიიდან. პლიუს გვქონდა ჩართვები დედაქალაქიდან,ხოლო გადაცემა თავისუფალ სივრცეში გავიდა სპეციალური საახალწლო გამოშვება, რაც შეეხება საკადრო გადახალისებას მეოთხე კვარტალში ახალი ამბების 18 საათიანი და 20 საათიანი გამოშვების წამყვანი გახდა ირაკლი ყურაშვილი, რადგან გიორგი აბაზაძემ თავისი ნებით დატოვა მაუწყებელი და გადავიდა სხვა ტელეარხზე სამუშაოდ. ასევე წლის ბოლოს გადაწყდა, რომ დღის 10 საათიან გამოშვებებს წაიყვანს სულხან წულუკიძე, რომელიც აქამდე გახლდათ მაუწყებლის რადიოს ახალი ამბების წამყვანი (იგი მომავალში შეითავსებს ამ ორივე საქმიანობას) გარდა ამისა უკვე ამ წლის 16 იანვრიდან საინფორმაციო გამოშვებაში დაემატება სპორტული ბლოკი, რომელსაც წაიყვანს ზაალ ჩიხლაძე. ვახტანგ ხუზმიაშვილის გადაცემა „თავისუფალი სივრცე“ 29 დეკემბრის ჩათვლით გადიოდა ეთერში, სადაც განიხილებოდა აქტუალური პოლიტიკური თემები, გადაწყდა რომ 2023 წლის იანვრიდან, გადაცემები განახლებდა უკვე თბილისის ბიუროს სტუდიიდან.  წლის ამ პერიოდში აქტიურად შუქდებოდა უკრაინაში მიმდინარე ომი.  გრძელდებოდა თანამშრომლობა ამერიკის ხმასთან.

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის 2022 წლის  მეოთხე  კვარტალში გახორციელდა შემდეგი აქტივობები:**

- *ევროპის* მაუწყებელთა *კავშირს* (*EBU*) გაეგზავნი წერილი წინადადებებით ევროპულ ტელევიზიებთან თანამშრომლობისა და ურთიერთგამოცდილებების გაზიარების მიზნით ევროპული მაუწყებლობის კავშირში აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გაწევრიანების თაობაზე;
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გაეგზავნა წერილი ჩვენს მიერ მომზადებული წინადადებებით  მედია საშუალებების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საელჩოს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ჩართულობის მიზნით;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტთან ვაწარმოეთ მოლაპარაკებები აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების ჩართულობაზე სხვადასხვა ტიპის ტრენინგებში;
- მაუწყებლის მონიტორინგის სამსახურის მიერ მომზადებული გადაცემა „დიდი შესვენება“-ს ანალიზი და შემოქმედებით  ჯგუფზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და გაცნობა;
- საახალწლო ცენტრალური კონცერტის დაგეგმვა-მომზადება;
- საავტორო გადაცემებისა და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;

- ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ-პლატფორმაზე მიწოდება, კომუნიკაციის მარეგულირებელ კომისიას, მაქთისატს, სილქნეტს პროგრამის დამუშავება-მიწოდება;
- ბრენდირებული ნივთების შეძენა: 1. ბრენდირებული ჰუდი (საინფ/შემოქ-ის, მოძრავი სატელევიზიო სადგურისა და პირდაპირი ჩართვების ოპერატორებისთვის) 2. ბრენდირებული USB ბარათები (სამაჯური/ბარათი 16/32 GB) 3. 2023 წლის ბრენდირებული ყოველდღიური ბლოკნოტები 4. რადიოს ლაითბოქსის ფირები 5. ბრენდირებული კალენდრები (მაგიდის, კედლის ერთ და სამ რიგელიანი) 6. ავტომანქანების ბრენდირება (მიმდინარება ეტაპობრივად კეთდება) 7. ბრენდირებული ქოლგები 8. ბრენდირებული ჩანთები (ნაჭრის და მუყაოს, სხვადასხვა ზომის);
- ორგანიზაციებიდან სოციალური რეკლამის მიღება-განთავსება; მოქალაქეთა შემოსული განცხადებების შესაბამისი მიხედვით რგოლის დამზადება-განთავსება;
- სარეკლამო მომსახურებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 11127 ლარი;

**მეოთხე კვარტალში ბადეში შევიდა შემდეგი ცვლილები:**

- ბადეში განთავსდა ახალი გადაცემები - „ რაკურსი ევროპისკენ“ და „ბიზნეს-სტანდარტი“;
- განთავსდა საახალწლო შეფუთვა ტიხრები, არტები და ლოგო;
- განთავსდა საახალწლო მილოცვები (არტები: მხატვრები, 2022 წ. სხვადასხვა სფეროში წარმატებული ადამიანები);
- მუსიკალური ცენტრის მიერ მოწოდებული არტები/კლიპები;
- საოპერო ფესტივალი „ბათუმური რაფსოდია“ - გადაღება, მონტაჟი, განთავსება;
- მემორანდუმის ფარგლებში CineDOC-Tbilisi საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის ფილმის „მოლენბეკის ღმერთები;
- გადაცემების განმეორების ზოლი (დღის და ღამის) ჩანაცვლდა მექანიკური პროდუქციით;
- გენუის ახალგაზრთა მუსიკოსთა ფესტივალი - გადაღება, მონტაჟი, განთავსება;
- გაუთვალისწინებელი ცვლილებები ბადეში დღის მოვლენებიდან გამომდინარე;
- ფეხბურთის პირდაპირი ტრანსლაციები - ეროვნული ლიგა.

რაც შეეხება რეიტინგების მონაცემებს, 2021 წლის 5 დეკემბრიდან ღია წყაროებზე აღარ თავსდება შესაბამისი ინფორმაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ სატელევიზიო მაყურებლის შესახებ ინფორმაცია აჭარის მაუწყებელს დღეისთვის საერთოდ არ გააჩნია.

**დანართი N2: პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი;**

<u>რადიო-შედეგები და საჭიროებები;</u>

**2022 წლის მეოთხე კვარტალის მონაცემებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:**

შემეცნებით გასართობი გადაცემების გუნდში ადამიანური რესურსის დამატების ხარჯზე, პროპორციულად გადანაწილდა შემეცნებით გასართობი პროგრამების წამყვანთა სამუშაო გრაფიკი. გადაცემა შუადღის ხაზი ყოველ სამუშაო დღეს მიჰყავს ორ წამყვანს, რაც თავისთავად დინამიურს ხდის გადაცემას. ასევე შუადღის ხაზის ორი გადაცემა დაემატა შაბათ-კვირის პროგრამულ ბადეს. შედარებით გაზრდილი ქრონომეტრაჟით (4 საათი). დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული, გარე წარმოების ხაზით შეძენილი გადაცემების „ჩემი ალტერნატივას“ და „ბათუმური დღიურების“ ჩაბარების პროცესი. როგორც წინა სეზონზე, ახლაც გამოიკვეთა მსმენელთა ძალიან დიდი ინტერესი აღნიშნული გადაცემების მიმართ. რაც საბაბს გვაძლევს საიმისოდ რომ მომდევნო კვარტალშიც გავაგრძელოთ მათთან კოლაბორაცია. საეთერო ბადის და საეთერო დროის ოპტიმიზაციის მიზნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რადიოს საეთერო ბადეში განთავსებული საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი მიახლოებულიყო რადიომაუწყებლობის პრაქტიკაში ადაპტირებულ სტანდარტს. ნაცვლად 10 – 20 წუთიანი გამოშვებებისა, საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი განისაზღვრა 5 – 7 წუთით. რამაც გაცილებით ლაკონიური და ინფორმატიული გახადა გადაცემები. შესაბამისად გაიზარდა საინფორმაციო გამოშვებიდან მომდევნო გამოშვებამდე არსებული დრო, აღმოიფხვრა სხვა გადაცემების დროის გადაფარვის საკმაოდ ხშირი შემთხვევებიც. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ ყოველწლიურ დაჯილდოების ცერემონიალ „მაგნოლიაზე“ , ტურიზმის განვითარების სფეროში, მხარდაჭერასა და პოპულარიზაციაში შეტანილი ღვაწლისთვის ნომინაციაში მადლობის სიგელები გადაეცათ გადაცემებს „დილის რადიოს“ და „კონტაქტს“ შემეცნებით გასართობი გადაცემების წამყვანების დახმარებით ჩაიწერა საახალწლო არტები და ტიხრები. ასევე მომზადდა საახალწლო შემეცნებით-გასართობი პროგრამები. რომლებიც საეთერო ბადეში იქნა განთავსებული. ჩაიწერა რადიოს არსებული გადაცემების საახალწლო მილოცვები. შეიცვალა მუსიკალური პროგრამა. მიდის მუშაობა სოციალურ ქსელებში განთავსებული რადიოს გვერდების აქტიურად ასამუშავებლად. მიმდინარეობს იდეების განხილვა ქსელებისთვის შესაბამისი კონტენტის შესაქმნელად. რათა უფრო მეტი პოპულარიზაცია გავუწიოთ რადიოს და შესაბამისად რადიოში შექმნილ გადაცემებს. აქტიურად მიმდინარეობს კომუნიკაცია მსმენელებთან სოციალური ქსელის მეშვეობით. ეს პროცესი გვეხმარება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი-გამოსასწორებელი მხარეების დადგენაში. დაფარვის ზონის და ხარისხის დაზუსტებაში. პერიოდულად ვლინდებოდა რადიოს ფმ დიაპაზონზე მაუწყებლობის ხარვეზები. ხშირად ითიშება ფმ დიაპაზონზე მაუწყებლობის სიგნალი ან აჭარის ტელევიზიის სიგნალი ფარავს მას. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება ადვილია ადგილზე, როცა რადიოს ვუსმენთ რეგიონში. სამწუხაროდ ასეთი ხშირი კონტროლი ვერ ხორციელდება დედაქალაქში. თბილისში გათიშვის ან ტელევიზიის სიგნალით გადაფარვის შემთხვევებს ხშირად თავად მსმენელები გვატყობინებენ სოციალური ქსელის საშუალებით. აღსანიშნავია ისიც რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში რეგიონში რადიოს გათიშვის საერთო სურათი საგრძნობლად გამოსწორდა. თუმცა ბოლომდე არ აღმოფხვრილა. მიმდინარეობს ასევე მოლაპარაკებები რადიოს მიმართულებით კვალიფიციურ სუბიექტებთან ტრენინგების და ტექნიკური დიაგნოსტიკის ჩატარების მიმართულებით.

**დანართი N3: რადიოს პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი.**

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" სატელევიზიო მაუწყებლობის საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურმა მეოთხე** კვარტალში გადაცემები აწარმოეს შეუფერხებლად. განხორციელდა მივლინებები, გადაცემებისთვის მასალის მოპოვების მიზნით ქვეყნის მასშტაბით. ასევე საზღვარგარეთ მივლინებით იმყოფებოდნენ შემდეგი პროექტების შემოქმედებითი ჯგუფები - გადაცემა „ერთი დღე სოფელში" იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკურად ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე, ქალაქ ბურსაში და მის შემოგარენში ასევე ქალაქ სტამბოლში, ასევე თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა სატელევიზიო ფილმების პროდიუსერი ანზორ ქათამაძე, რომელმაც გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ტბეთი" თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიული ტაძარზე, გადაცემა „ბიბლიოთეკა" იმყოფებოდა გერმანიში ქალაქ ფრანკფურტში წიგნების საერთაშორი ფესტივალზე რაზეც მომზადდა 5 სატელევიზიო გადაცემა, გადაცემა „სპორტი" იმყოფებოდა რუმინეთში და ისრაელში საფეხბურთო კლუბ ბათუმის დინამოსა და სარაგბო კლუბ ბათუმის მატჩების გასაშუქებლად, ასევე გადაცემა „თეთრი კვადრატი იმყოფებოდა რუმინეთში დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე ასტრა ფილმი რაზეც მომზადდა გადაცემები. მომზადდა და განთავსდა საეთერო ბადეში დოკუმენტური ფილმები. შემოქმედებით სამსახურში ავიყვანეთ მხატვარი და გამნათებელი რომლებმაც ძირითად შემოქმედებით ჯგუფებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საახალწლო ეთერისთვის დაგეგმილ საახალწლო გადაცემებში, მილოცვებში და არტებში. 2022 წლის მეოთხე კვარტლის შემოქმედებითი სამსახურის მიერ მომზადებული გადაცემები და აქტივობები იყო მრავალფეროვანი და საინტერესო.

<u>იურიდიული მხარდაჭერა</u>

- **კორესპოდენცია, ბრძანებები, მიღება-ჩაბარების აქტები და სხვა**

  2022 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

  - შიდა დოკუმენტი - 3589;
  - გარედან შემოსული - 434;
  - კანცელარიიდან გაიგზავნა - 339 წერილი;
  - რეგისტრაციაში გატარდა: ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - 32 ბრძანება; ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - 135 ბრძანება; პირადი შემადგენლობის შესახებ (03-01) - 105 ბრძანება;
  - რეგისტრაციაში გატარდა - 836 მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი;
  - საფოსტო გზავნილის რაოდენობა - 59.

- **სასამართლო დავები**

  1. 2022 წლის დეკემბერში ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ იქნა სარჩელი შპს „მარტო სახლში"-ს მიმართ. დავის საგანი:

თანხის დაკისრება (ძირითადი თანხა - 650 ლარი, ასევე პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის). დავა გამომდინარეობს სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების შესახებ ხელშეკრულებიდან. სარჩელი წარმოებაში მიღებულია და სამოქალაქო საქმე მომზადების ეტაპზეა;

2. 2022 წლის 23 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გაიმართა სხდომა. თავდაპირველი მოსარჩელე შორენა ღლონტი, მოპასუხე - მაუწყებელი, შრომითსამართლებრივი დავა. გასაჩივრებული იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ( საქმე №2/1346-2020; #2/1055-2020) ორივე მხარის მიერ;

3. 2022 წლის 30 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოაცხადა გადაწყვეტილება #2/ბ-1010-2022 საქმეზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა წარდგენილი საჩივრები. ასევე, არ დაკმაყოფილდა მაუწყებლის კერძო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მიქცევის ნაწილში გაუქმების თაობაზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 02 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მაუწყებლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სახით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2022 წლის 04 აგვისტოს გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერების თაობაზე.

4. მოსარჩელე: შპს „აი ემ ჯეი გრუპი“ მოპასუხე: მაუწყებელი დავის საგანი: თანხის დაკისრება 76075 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ წარმოადგინა დაზუსტებული სარჩელი. მაუწყებელმა წარადგინა შესაგებელი. 2022 წლის 21 დეკემბერს გაიმართა მოსამზადებელი სხდომა. მაუწყებლის მიერ წარდგენილ იქნა შუამდგომლობები მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, წერილობითი მტკიცებულების დართვის თაობაზე. შუამდგომლობები დაკმაყოფილდა. მოსარჩელე მხარემ ასევე წარმოადგინა წერილობითი ფორმით დოკუმენტაცია, რომელიც დაერთო საქმეს. სხდომა გადაიდო მოსამზადებელი ეტაპიდან 2022 წლის 23 მარტს.

5. მოსარჩელე: მალხაზ რეხვიაშვილი (სამქმე #2-1534/20) მოპასუხე: მაუწყებელი შრომითსამართლებრივი დავა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გაიმართა მორიგი სხდომა 2022 წლის 11 ნოემბერს. სასამართლო მთავარი სხდომა გადაიდო 2023 წლის 24 თებერვალს.

6. მოსარჩელე: შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი მოპასუხე: მაუწყებელი დავის საგანი: თანხის დაკისრება (GPS მოწყობილობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით) წარდგენილია შესაგებელი.

- **უძრავი ქონების განკარგვა**

1. მაუწყებელმა ელექტრონული აუქციონის წესით, 2 (ორი) წლის ვადით იჯარით გასცა უძრავი ქონება: მაუწყებელსა და სს „სილქნეტს“ შორის 2022 წლის 02 დეკემბერს გაფორმდა #02-24/15 იჯარის ხელშეკრულება შემდეგ უძრავ ქონებაზე: დაბა შუახევიში, სოფელ ოქროპილაურში მდებარე გადამცემ სადგურზე (ანძაზე) 4 გრძივი მეტრის და 8

კვ.მ. შენობის ნაწილიდან 3 კვ.მ, (ს/კ 24.02.35.033.019). ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

2. მაუწყებელსა და შპს „ვიონი საქართველო“-ს 2022 წლის 02 დეკემბერს გაფორმდა #02-24/13 იჯარის ხელშეკრულება შემდეგ უძრავ ქონებაზე: ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში მდებარე გადამცემ სადგურზე (ანძაზე) 2 გრძივი მეტრი და მის მიმდებარე 8-10 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 22.30.02.004) ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

3. მაუწყებელსა და შპს „ვიონი საქართველო“-ს 2022 წლის 02 დეკემბერს გაფორმდა #02-24/14 იჯარის ხელშეკრულება შემდეგ უძრავ ქონებაზე: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოდნისკარში მდებარე 220 კვ.მ. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 54.05.11.335) ნაწილი 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული სატელევიზიო გადამცემი სადგურის (ანძა) 2 გრძივი მეტრი.

**4.** მაუწყებელმა ორჯერ გამოაცხადა აუქციონი შემდეგი უძრავი ქონების იჯარით გაცემის თაობაზე - ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანის ქ N31-ში მდებარე 7580 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული 2686.97 ფართის შენობა-ნაგებობების (ს/კ: 05.26.29.025) ნაწილზე - 23.3 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და ხულოს მინიციპალიტეტი, სოფელი გოდგაძეებში (არგინეთი) მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.02.01.558) ნაწილზე - 8-10 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული გადამცემი სადგურის (ანძა) 2 გრძივი მეტრი, რომლებიც არ შედგა.

- **ხელშეკრულებები**

1. გაფორმდა 6 (ექვსი) ხელშეკრულება სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების შესახებ;

2. პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის შესახებ გაფორმდა 25 (ოცდახუთი) ხელშეკრულება, 2(ორი) ხელშეკრულება 2023 წლისთვის.

3. გაფორმდა „სხვა ტიპის“ 3 (სამი) ხელშეკრულება (სიგნალის მიწოდება, გავრცელების თაობაზე);

4. მაუწყებელმა 2022 წლის დეკემბრის თვეში გააფორმა 5 (ხუთი) ერთწლიანი იჯარის ხელშეკრულება 2023 წლისთვის, მათ შორის ოთხი მაუწყებლის ბიუროებისთვის ქონების იჯარით აღების თაობაზე, ერთი - სატელეკომუნიკაციო არხის იჯარა;

5. 2022 წლის მეოთხე კვარტალში გაფორმდა 6(ექვსი) იჯარის ხელშეკრულება (გარდა ზემოთმითითებული ერთწლიანი ხელშეკრულებებისა).

**6. 2022 წლის მე-4 კვარტლის სახელმწიფო შესყიდვები**

- 2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მეოთხე კვარტალში გამოცხადდა სხვადასხვა სახის საქონლის/სამუშაოს/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 13 (ცამეტი) ელექტრონული ტენდერი, მათ შორის:
  - არ შედგა- 4 ელექტრონული ტენდერი:
  - უარყოფთი შედეგით დასრულდა - 1 ელექტრონული ტენდერი;
  - შეწყდა -4 ელექტრონული ტენდერი;
  - 4 ელექტრონული ტენდერი შედგა და შესაბამისად გამარჯვებულ პრეტენდენტებთან გაფორმდა საქონლის/სამუშაოს/მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

**შენიშვნა:** 2023 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარისა ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 წლის მე-4 კვარტალში გამოცხადდა 6 (ექვსი) ელექტრონული ტენდერი, რომლებიც შედგა და გამარჯვებულ პრეტენდენტებთან გაფორმდა საქონლის/სამუშაოს/მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები. ასევე, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის გზით 15 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, მათ შორის 6 კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით და 1 (ერთი) გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით.

- ინფორმაცია გასაჩივრებული ელექტრონული ელექტრონული ტენდერების შესახებ:
  1. დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრდა NAT220022805 აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ფარგლებში სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ. საჩივარი დაკმაყოფილდა. აღნიშნული ტენდერი სატენდერო კომისიის მიერ შეწყდა, საფუძველი - ელექტრონული ტენდერი გამოცხადებული იყო 2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, რაც ფაქტიურად ვერ შესრულდებოდა.
  2. გასაჩივრდა NAT220025694 გარეშე ელექტრონული ტენდერის ფარგლებში სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ტენდერის შეწყვეტის შესახებ.

საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა.
საანგარიშო პერიოდში მომზადდა ბრძანებები თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, დეკრეტული შვებულების შესახებ სულ - 20(ოცი); მათ შორის დეკრეტული შვებულების შესახებ - 2(ორი) ბრძანება; გათავისუფლების შესახებ - 9 (ცხრა) ბრძანება; სამსახურში აყვანა/დანიშვნის შესახებ - 9(ცხრა) ბრძანება; ასევე მომზადდა მაუწყებლის დირექტორის ბრძანებები პირადი შემადგენლობის შესახებ (შვებულება, მივლინება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა ) სულ - 392 (სამასოთხმოცდათორმეტი); მომზადდა - 31(ოცდათერთმეტი)

შრომითი ხელშეკრულება, 49 (ორმოცდაცხრა) შეთანხმება, რის საფუძველზეც ცვლილებები შევიდა შრომის ხელშეკრულებაში.

**მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის მეოთხე კვარტალში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:** საეთერო ბადეში დაემატა სტუდიური გადაცემები: ყოველდღიური გადაცემა ,,ბიზნეს სტანდარტი" და ,,რაკუსი ევროპისკენ - გიორგი მიქელაძესთან ერთად'', რომელიც ეთერში გადის ყოველ შაბათს 17:30 სთ-ზე. გადაცემა ბიბლიოთეკა უკვე რეგულარულად იწერება თითების სტუდიაში. ამ გადაცემისთვის დამზადდა ქუდები, ბექრაუნდები, ტიტრები და გამზადდა საეთეროდ. რესტორან ვოქსში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით გვქონდა სპეც-ეთერი. რომელიც გაგრძელდა ხანძრის ლიკვიდაციამდე. სპეც ეთერის დროს გამოყენებული იქნა საფრენი აპარატი დრონი. აღსანიშნავია , რომ მხოლოდ ჩვენი ეთერით გადაიცემოდა ეს უბედური შემთხვევა. ჩავწერეთ გადაცემები. ქალაქ თბილისის ბიუროში არსებულ სტუდიაში მოხდა ტექნიკური გადაიარაღება. არსებული სატელევიზიო აპარატურა ჩანაცვლდა შესაბამის ტექნიკით. სატელევიზიო სადგურით ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა გადაცემის ჩაწერა. ეთერი მომზადდა საახალწლოდ, შეიცვალა ტიხრები, სტუდიებში მოეწყო საახალწლო დეკორაციები.

საახალწლო ეთერისთვის, ე.წ. „თითების სტუდიაში" მიმდინარეობდა ჩაწერები: გადაცემა დილის ტალღა, შუადღის გადაცემა, გადაცემა „მუზოუნისთვის" მოეწყო ზენდისთვის შესაბამისი გახმოვანება და მოწვეული იქნა გახმოვანების სპეციალისტი. განათების სპეციალისტმა და მხატვარმა სტუდიები მოაწყო როგორც პირდაპირი ეთერისთვის, ასევე, ჩაწერებისთვის. გადაცემა ბიბლიოთეკისთვის მოეწყო საახალწლო დეკორაცია ამავე სტუდიაში.

ვახტანგ ხუზმიაშვილის საახალწლო გადაცემის ჩაწერა მოხდა რესტორან შატო კვირიკეში. სპეციალურად, ამ გადაცემისთვის დამზადდა ფონოგრამები. რესტორანში მოეწყო სცენა საახალწლო დეკორაციებით, განათებებით და ხმის აპარატურით. შესაბამის პერსონალთან ერთად. გადაღებები მიმდინარეობდა მოძრავი სატელევიზიო სადგურით.

თეთრი კვადრატის საახალწლო გადაცემის ჩაწერა მოხდა ქალაქ ოზურგეთის სოფ. ცხემლის ხიდიში არსებულ გ. სალუქვაძის სახლ-მუზეუმში. მოძრავი სატელევიზიო სადგურით ორ ლოკაციაზე. ასევე საახალწლოდ მოეწყო გადაღების ადგილი.

ბათუმის მუსიკალურ ცენტრში, მოძრავი სატელევიზიო სადგურით მიმდინარეობდა „წლის წარმატებული ხელოვანის" დაჯილდოების ცერემონიალის ჩაწერა. ასევე სახელმწიფო ანსამბლი არსიანის საიუბილეო, ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების გადაღება, საზაფხულო თეატრში ქორეოგრაფ შალვა გოგუაძისადმი მიძღვნილი საღამოს და ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი გადაღება.25 დეკემბერს, საახალწლო ნაძვის ხის პომპეზური გახსნა და კონცერტის პირდაპირი რეპორტაჟი ერას მოედნიდან, მოძრავი სატელევიზიო სადგურით მიმდინარეობდა. სპეციალურად დამზადდა ინტერნეტის 50(ორმოცდაათ) მეტრიანი კაბელი, სიგნალის გაუმჯობესების მიზნით. ტრანსლირება

ლაივუს მეშვეობით მიმდინარეობდა. 31 დეკემბერს საინფორმაციო გამოშვებისთვის, ერას მოედანის მიმდებარედ, შეიქმნა დამატებითი სტუდია. მოეწყო სცენა, დამონტაჟდა განათება, დაიდგა სუფლიორი. გაიშალა მოძრავი სატელევიზიო სადგური. ასევე ქალაქ თბილისიდან მომზადდა პირდაპირი ჩართვის ადგილი. სამი ადგილიდან (თბილისი, ბათუმი, ევროპის მოედანი და სტუდია 1) მიმდინარეობდა ოც საათიანი მთავარის საახალწლო გადაცემა. 31 დეკემბერს 23 საათიდან დაიწყო საახალწლო კონცერტის პირდაპირი ტრანსლირება ევროპის მოედნიდან.

<u>საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები</u>

მაუწყებელი ღია ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის. განაგრძობს თანამშრომლობას „ამერიკის ხმასთან“.

<u>მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა</u>

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მატერიალურ-ტექნიკურ სამსახურში განხორციელებული საქმიანობის ჩამონათვალი.

**სტუდიებისა და მსს - ის განყოფილება**

ქალაქ თბილისის ბიუროს ახალ შენობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: ელ.დენის დაპროექტება და მონტაჟი, სათვალთვალო კამერების დაპროექტება და მონტაჟი,სტუდიისათვის განათების მონტაჟი, მოძრავი ტელესადგურის დაყენება;

მსს - ის მეშვეობით მონაწილეობა ყველა გადაცემისა თუ კონცერტის ჩაწერაში;

საინფორმაციო სამახურის, ვიდეოკამერების პროფილაქტიკა და შეკეთება;

**კომპიუტერული განყოფილების მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:**

- ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავება;
- 2023 წლისთვის კომპიუტერული, ქსელური და პროგრამული საჭიროებების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემუშავება;
- ჰოსტინგი (მოკვლევა, ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, ინფორმაციის გადატანა, ბექაფი, ელექტრონული ფოსტების შექმნა, ინტეგრაცია კლიენტურ პროგრამებში, მონიტორინგი) ;
- სარეზერვო ალტერნატიული ოპტიკური ინტერნეტის მოკვლევა;
- პირდაპირი ჩართვის მოწყობილობების კონფიგურირება;
- სამონტაჟო კომპიუტერული მუშა სადგურების ინსტალაცია - კონფიგურირება.

**ქსელური სამუშაოები:** ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის( AP) მოწყობილობების გამართვა. სტორიჯის კონფიგურირება ფაერვოლისა და როუტერის (Sophos XGS 3100) კონფიგურირება, სამუშაო ჯგუფების შექმნა, პორტებსა და სერვისებთან წვდომის წესების განსაზღვრა, ვებ და ქსელური დაცვის წესების შემუშავება სამუშაო ჯგუფებისა და ქსელების კატეგორიების გათვალისწინებით, ლოგირება და მონიტორინგი. სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი. ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურები, პროექტების გამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საეთერო სამაუწყებლო კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების შეკეთება, გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. ქსელური ენკოდერების კონფიგურირება რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი.

**გადამცემ საშუალებათა ექსპლუატაციის განყოფილების მიერ ჩატარებული სამუშაოები:**

ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები); პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაუტარდა ანტენა-ფიდერულ მოწყობილობას და დენის უწყვეტ წყაროს (UPS), გადამცემზე სიგნალის მიწოდება ხორციელდება როგორც სატელიტიდან ასევე ინტერნეტის საშუალებით. გადამცემი მუშაობს 104,5 მგ ჰერცის სიხშირეზე. დიზელ-გენერატორს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები.

ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩატარდა გადამცემ სადგურზე. გამოიცვალა სატელიტური თავაკი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 106,1 მგ ჰერცის სიხშირეზე.

შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალა სატელიტური ანტენა. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 106,0 მგ ჰერცის სიხშირეზე.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). რემონტი ჩაუტარდა ელ. გადამცემ ხაზს, გამოიცვალა სატელიტური თავაკი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 104,5 მგ ჰერცის სიხშირეზე.

ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალა RG კაბელი და სატელიტური თავაკი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 104,1 მგ ჰერცის სიხშირეზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ლეღვას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გარემონტდა გადამცემი სადგურის დაზიანებული ამღზგნები ბლოკი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 96,1 მგ ჰერცის სიხშირეზე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილქტიკური სამუშაოები, (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). შეიცვალა სატელიტური თავაკი და გარემონტდა სატელიტური რესივერი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 104,5 მგ ჰერცის სიხშირეზე.

თბილისის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. მაუწყებლობა ხორციელდება 90,2 სიხშირეზე.

ლაგოდეხის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 90,7 სიხშირეზე.

გორის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. მაუწყებლობა ხორციელდება 94,1 სიხშირეზე.

ქუთაისის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. მაუწყებლობა ხორციელდება 99,3 სიხშირეზე.

ზუგდიდის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. მაუწყებლობა ხორციელდება 97,1 სიხშირეზე.

ფოთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. მაუწყებლობა ხორციელდება 90,7 სიხშირეზე.

მიმდინარეობს ომბალურის სადგურის გადატანა მწვანე კონცხის ანძაზე ასევე მიმდინარეობს სამუშაოები ჯოჭოს სადგურის ასამოქმედებლად.

## მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი

ახალი ამბების გამოშვებები და ანალიტიკური გადაცემები მზადდება მაყურებლის დახმარებით. მათი სატელეფონო ზარები და მაუწყებლის ფეისბუქის გვერდზე მიღებული შეტყობინებები არის მნიშვნელოვანი წყარო დაგეგმვის პროცესში.

## სამომავლო რისკები და გამოწვევები

მაუწყებლის ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით შესაბამისი ანალიზური სამუშაოების განხორციელება და ღონისძიებების დაგეგმვა.

<u>გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის</u>

- ბიუჯეტის მართვა;
- აუდიტორიის შენარჩუნება და გაზრდის ღონისძიებების დაგეგმვა;
- თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება;
- ადმინისტრაციული რეფორმების შესაძლებლობის ანალიზი და პროექტის შემუშავება;
- მაუწყებლის განვითარების შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი;
- ფინანსური ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებების შემუშავება.

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

## 2022 წლის მეოთხე კვარტალის

## ფინანსური ანგარიში

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მიერ 2022 წლის მეოთხე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 2.942.950,00 ლარს (12 თვის მდგომარეობით 12.950.430,00 ლარი), ფაქტიურად დაიხარჯა 3.037.506,65 ლარი (12 თვის მდგომარეობით 11.716.255,65 ლარი). გეგმის შესრულების მაჩვენებელი 3 თვის მდგომარეობით შეადგენს 103,21%-ს, ხოლო 12 თვის მდგომარეობით შეადგენს 90,47%-ს.
მათ შორის:

- სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან 2022 წლის მეოთხე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 2.867.950,00 ლარს (12 თვის მდგომარეობით 12.750.430,00 ლარი), ფაქტიურად დაიხარჯა 2.968.748,39 ლარი. (12 თვის მდგომარეობით 11.580.594,78 ლარი). გეგმის შესრულების მაჩვენებელი 3 თვის მდგომარეობით შეადგენს 103,51%-ს, ხოლო 12 თვის მდგომარეობით შეადგენს 90,83%-ს.

- ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2022 წლის მეოთხე კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 75.000,00 ლარს (12 თვის მდგომარეობით 200.000,00 ლარი), გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს 68.758,26 ლარს (12 თვის მდგომარეობით 135.660,87 ლარი). გეგმის შესრულების მაჩვენებელი 3 თვის მდგომარეობით შეადგენს 91,68%-ს, ხოლო 12 თვის მდგომარეობით შეადგენს 67,83%-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2022 წლის მეოთხე კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N1).

2022 წლის მეოთხე კვარტალში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლების თანხა შეადგენს 32.499,84 ლარი.
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N2).

დანართი N1

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 წლის IV კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

| ხარჯების დასახელება | საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან) | | | | საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ |
| **სულ** | 883.931,32 | 991.284,77 | 1.093.532,30 | 2.968.748,39 | 4.146,47 | 10.722,37 | 53.889,42 | 68.758,26 |
| **მრჩეველთა საბჭო** | 25.978,91 | 28.262,75 | 27.600,28 | 81.841,94 | 63,00 | 65,10 | 2.677,60 | 2.805,70 |
| მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი | 20.470,00 | 20.470,00 | 20.510,00 | 61.450,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მრჩეველთა საბჭოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება | 4.750,00 | 4.750,00 | 4.750,00 | 14.250,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება | 583,40 | 1.080,00 | 2.182,80 | 3.846,20 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მობილური სატელეფონო მომსახურება | 175,51 | 162,75 | 157,48 | 495,74 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| კანცელარიის პროგრამული მომსახურების ხარჯი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 63,00 | 65,10 | 82,60 | 210,70 |
| საოფისე ავეჯის შეძენა | 0,00 | 1.800,00 | 0,00 | 1.800,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ბრენდირებული საქონელი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 2.595,00 | 2.595,00 |
| **ადმინისტრაცია** | 243.380,03 | 287.305,66 | 283.151,24 | 813.836,93 | 714,80 | 5.756,80 | 6.593,60 | 13.065,20 |
| თანამდებობრივი სარგო | 131.403,81 | 135.492,86 | 131.309,09 | 398.205,76 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება | 49.245,00 | 49.881,43 | 51.795,91 | 150.922,34 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა (შტატი) | 980,00 | 933,33 | 540,91 | 2.454,24 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე) | 600,00 | 2.487,86 | 2.137,88 | 5.225,74 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება | 2.697,14 | 150,00 | 220,00 | 3.067,14 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| თანამშრომელთა დაზღვევა | 10.060,00 | 9.885,00 | 9.920,00 | 29.865,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები | 0,00 | 0,00 | 1.496,00 | 1.496,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| დანარჩენი საკანცელარიო ნივთები | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 30,30 | 30,30 |
| ბეჭდვითი მომსახურება (სამსახ. მოწმობები (ბეიჯი), ტურნიკეტის ბარათები, სერტიფიკატები, სავიზიტო ბარათები და სხვა) | 130,00 | 5,00 | 135,00 | 270,00 | 0,00 | 70,00 | 90,00 | 160,00 |
| მარაგების აღრიცხვის და კანცელარიის კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯები | 0,00 | 0,00 | 4.500,00 | 4.500,00 | 316,80 | 334,80 | 704,30 | 1.355,90 |
| ჟურნალ-გაზეთების შეძენა | 0,00 | 4,80 | 13,20 | 18,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე ანგარიშის გამოქვეყნების საფასური | 0,00 | 0,00 | 26,00 | 26,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მცირეფასიანი და ძირითადი აქტივის შეძენა (წყლის გამაცხელებელი, მტვერსასრუტი და სხვა) | 450,00 | 0,00 | 330,00 | 780,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საოფისე ავეჯის შეძენა | 0,00 | 400,00 | 0,00 | 400,00 | 0,00 | 4.545,00 | 0,00 | 4.545,00 |
| გასანათებელი მოწყობილობები  და ნათურები | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 85,00 | 485,00 | 2.017,00 | 2.587,00 |
| სამეურნეო საქონლის და სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი | 1.599,20 | 2.221,00 | 1.750,00 | 5.570,20 | 305,00 | 220,00 | 698,00 | 1.223,00 |
| ელ სადენი და კაბელის აქსესუარების შეძენა | 670,00 | 110,20 | 175,00 | 955,20 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| პირველადი ბატარეები და ელემენტები | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 700,00 | 700,00 |
| კოვიდტესტების ლაბორატორიული მომსახურება, სანიტარულ-ჰიგიენური და საწმენდი საშუალებები | 0,00 | 3.022,00 | 457,50 | 3.479,50 | 8,00 | 12,00 | 595,00 | 615,00 |
| ფარმაცევტული პროდუქტები, სადეზინფეციო საშუალებები და შენობების სადეზინფექციო სამუშაოები | 0,00 | 0,00 | 1.301,00 | 1.301,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ქსელის კაბელი, აქსესუარები და კონექტორები | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 549,00 | 549,00 |
| შენობის მიმდინარე რემონტი | 0,00 | 0,00 | 1.862,50 | 1.862,50 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ავეჯის, კონდიციონერების შეკეთება და ტექ. მომსახურება | 0,00 | 0,00 | 530,00 | 530,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება | 366,69 | 467,32 | 1.274,85 | 2.108,86 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მობილური ტელეფონების ხარჯი | 2.442,55 | 2.516,94 | 2.382,34 | 7.341,83 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ინტერნეტით მომსახურების  ხარჯი | 2.630,00 | 2.630,00 | 5.260,00 | 10.520,00 | 0,00 | 0,00 | 1.210,00 | 1.210,00 |
| დომენის რეგისტრაციის გაგრძელება | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 90,00 | 0,00 | 90,00 |
| სატელეკომუნიკაციო  მომსახურეობა-ჰოსტიგი | 1.500,00 | 1.500,00 | 3.000,00 | 6.000,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საფოსტო მომსახურება | 71,72 | 9,36 | 62,56 | 143,64 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ელ.ენერგიის ხარჯი (ანძების ჩათვლით) | 10.127,21 | 9.189,58 | 10.801,78 | 30.118,57 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| წყალის და წყალანირების ხარჯი | 265,21 | 443,94 | 910,95 | 1.620,10 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯი | 202,00 | 202,00 | 202,00 | 606,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მაუწყებლის შენობის და ომბალაურის გადამცემი სადგურის დიზელ-გენერატორების საწვავის შეძენის ხარჯი | 0,00 | 2.124,00 | 0,00 | 2.124,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საკაბელო სატელევიზიო მომსახურება | 88,00 | 74,00 | 176,00 | 338,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საკორესპოდენტო ბიურო(ებ)ს ოფისის დაქირავების ხარჯი | 1.350,00 | 2.200,00 | 1.850,00 | 5.400,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საწვავი   (ავტომანქანებზე) | 16.555,86 | 17.789,61 | 17.412,96 | 51.758,43 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი | 5.910,96 | 1.521,24 | 5.064,04 | 12.496,24 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ტრანსპორტის რეცხვის ხარჯი | 294,00 | 272,00 | 489,00 | 1.055,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| GPS-ის მოწყობილობის მეშვეობით ავტომობილების კონტროლის და გადაადგილების მონიტორინგის მომსახურება | 405,06 | 398,42 | 792,01 | 1.595,49 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯი/მანქანის აკუმულატორები/ზეთები/ფილტრები | 222,40 | 648,75 | 277,90 | 1.149,05 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ავტომანქანების ტექ.დათვალიერების/ინსპექტირების ხარჯი | 400,00 | 0,00 | 0,00 | 400,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ავტომანქანების საბურავების შეძენის ხარჯი | 0,00 | 4.116,00 | 4.186,96 | 8.302,96 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ავტომანქანების დაზღვევა | 277,44 | 286,68 | 564,12 | 1.128,24 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი | 100,28 | 158,64 | 945,08 | 1.204,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ექსპერტიზის ხარჯი | 0,00 | 600,00 | 0,00 | 600,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან | 0,00 | 0,00 | 240,00 | 240,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შენობის დაცვა (ორბელიანის ქუჩა) | 1.032,50 | 1.032,50 | 1.032,50 | 3.097,50 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ადმინისტრაციული შენობის დაცვა | 0,00 | 33.200,00 | 16.600,00 | 49.800,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატენდერო/აუქციონის განცხადებების, ქონების რეგისტრაციის, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საფასური და სხვა | 1.175,00 | 0,00 | 989,00 | 2.164,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შეხვედრებისთვის/ღონისძიებების  ორგანიზება/საიჯარო მომსახურება | 0,00 | 1.200,00 | 0,00 | 1.200,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 112-ს მომსახურების საფასური (სატელეფონო მომსახურება) | 13,60 | 16,80 | 24,40 | 54,80 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელ. მომსახურება) | 114,40 | 114,40 | 112,80 | 341,60 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |

| ხარჯების დასახელება | საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან) | | | | საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ |
| **ახალი ამბები** | 151.418,67 | 141.607,24 | 168.915,51 | 461.941,42 | 0,00 | 0,00 | 2.000,00 | 2.000,00 |
| შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება | 129.037,00 | 130.978,34 | 134.319,33 | 394.334,67 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 0,00 | 1.464,29 | 13.519,31 | 14.983,60 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება | 6.951,41 | 9.164,61 | 11.156,34 | 27.272,36 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საერთაშორისო ახალი ამბების ვიდეოკონტენტის მოწოდების სერვისი | 13.887,23 | 0,00 | 9.920,53 | 23.807,76 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 1.543,03 | 0,00 | 0,00 | 1.543,03 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| წამყვანების ჩაცმულობა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 2.000,00 | 2.000,00 |
| **მედიაწარმოება და პროდიუსინგი** | 272.545,77 | 296.941,61 | 458.036,42 | 1.027.523,80 | 1.017,61 | 2.840,00 | 36.308,58 | 40.166,19 |
| შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება | 217.732,12 | 229.545,98 | 243.189,01 | 690.467,11 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| პრემია | 0,00 | 0,00 | 33.005,00 | 33.005,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1.326,50 | 2.388,57 | 600,00 | 4.315,07 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება | 46.892,10 | 24.592,75 | 6.374,84 | 77.859,69 | 0,00 | 0,00 | 13.166,00 | 13.166,00 |
| წამყვანების ჩაცმულობა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 709,00 | 709,00 |
| გარეწარმოების გადაცემების შესყიდვა | 0,00 | 0,00 | 125.557,60 | 125.557,60 | 0,00 | 0,00 | 14.700,00 | 14.700,00 |
| შეკვეთით ნაბეჭდი მასალის, ბანერების ბეჭდვა-დამზადება (ლაითბოქსების ვიზუალის/ფირების ბეჭდვა, ბრენდირება | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 1.862,00 | 1.862,00 |
| სარეკლამო ბანერის განთავსება (ბილბორდი) | 4.216,40 | 6.274,85 | 6.155,71 | 16.646,96 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ბრენდირებული საქონელი და ატრიბუტიკა | 0,00 | 1.700,00 | 4.950,00 | 6.650,00 | 0,00 | 1.700,00 | 4.095,00 | 5.795,00 |
| სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი | 0,00 | 0,00 | 4.395,74 | 4.395,74 | 0,00 | 0,00 | 1.743,97 | 1.743,97 |
| სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიის ხარჯი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 300,00 | 600,00 | 0,00 | 900,00 |
| ნამზადების შეძენა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | -380,39 | 540,00 | -57,59 | 102,02 |
| საავტორო უფლებების შესყიდვა/მუსიკალური ნაწარმოები (ფონი) | 0,00 | 15.413,00 | 13.157,00 | 28.570,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| კოსმეტიკური საშუალებების შეძენა (სტილისტი+ვიზაჟისტი) | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 1.098,00 | 0,00 | 90,20 | 1.188,20 |
| ღონისძიებისათვის ფართის (იჯარა) დაქირავება | 0,00 | 14.400,00 | 14.400,00 | 28.800,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საავტორო უფლებების ჰონორარი | 2.378,65 | 2.626,46 | 6.251,52 | 11.256,63 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა** | 48.555,48 | 51.255,06 | 48.064,55 | 147.875,09 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება | 39.150,48 | 41.811,63 | 42.144,55 | 123.106,66 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 0,00 | 3.443,43 | 0,00 | 3.443,43 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| მივლინება | 120,00 | 350,00 | 270,00 | 740,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| გარეწარმოების გადაცემების შესყიდვა | 9.285,00 | 5.650,00 | 5.650,00 | 20.585,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **ტექნიკური უზრუნველყოფა** | 134.591,58 | 180.293,56 | 97.186,45 | 412.071,59 | 0,00 | 0,00 | 2.857,00 | 2.857,00 |
| ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური | 20.438,00 | 20.438,00 | 20.438,00 | 61.314,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| FM რადიოსიგნალის სარელეო ხაზით გავრცელების საფასური | 870,00 | 870,00 | 870,00 | 2.610,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| FM რადიოგადამცემების სადგურების განთავსების იჯარა | 3.844,00 | 3.844,00 | 3.844,00 | 11.532,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი) | 22.444,00 | 21.862,40 | 43.312,00 | 87.618,40 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 2.493,78 | 2.429,16 | 4.812,45 | 9.735,39 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტის (მთაწმინდა) მომსახურება | 250,00 | 250,00 | 500,00 | 1.000,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო სიგნალის HD გავრცელება სილქტივის საკაბელო ტელევიზიის ქსელში | 250,00 | 250,00 | 500,00 | 1.000,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ოპტიკური და საკომუნიკაციო არხისათვის იჯარა | 0,00 | 0,00 | 4.900,00 | 4.900,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| განათების, სცენის და სხვა კონსტრუქციის დაქირავება | 0,00 | 0,00 | 15.000,00 | 15.000,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სატელევიზიო ტექნიკის რემონტის ხარჯი | 210,00 | 0,00 | 1.010,00 | 1.220,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სპეც. ტანსაცმელი და უსაფრთხოების აქსესუარები | 0,00 | 3.850,00 | 0,00 | 3.850,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| რადიო გადამცემი სადგურისათვის მარაგ-ნაწილების შეძენა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 2.857,00 | 2.857,00 |
| ვიდეოკამერის/ვიდეოსათვალთვალო სისტემის კომპლექტი | 0,00 | 117.650,00 | 2.000,00 | 119.650,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| გრაფიკული (ვიდეოსამონტაჟო) სამუშაო სადგურის შეძენა | 16.207,30 | 0,00 | 0,00 | 16.207,30 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ვიდეოჩამწერი მაგნიტოფონი | 27.995,50 | 0,00 | 0,00 | 27.995,50 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სტუდიებისა და მსს-ისათვის ვიდეოკამერის ამწე | 39.589,00 | 0,00 | 0,00 | 39.589,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| კონდიციონერები | 0,00 | 8.850,00 | 0,00 | 8.850,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **სხვა გადასახდელები** | 7.460,88 | 5.618,89 | 10.577,85 | 23.657,62 | 2.351,06 | 2.060,47 | 3.452,64 | 7.864,17 |
| არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ | 7.266,25 | 4.372,48 | 10.448,10 | 22.086,83 | 279,41 | 0,00 | 85,23 | 364,64 |
| საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 2.071,65 | 2.060,47 | 3.367,41 | 7.499,53 |
| სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე - მოსაკრებელი/აღსრულების ხარჯი | 0,00 | 1.116,66 | 0,00 | 1.116,66 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| დასუფთავების მოსაკრებელი | 194,63 | 129,75 | 129,75 | 454,13 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |

დანართი N2

## სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 წლის IV კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (დარიცხული) შემოსავლები

| დასახელება | თანხა |
|---|---|
| შემოსავლები სატელევიზიო ეთერში ბანერის, პროდუქტის და სასპონსორო ტიხრების განთავსების მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 2.400,00 |
| შემოსავლები კომერციული რეკლამიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 8.726,67 |
| შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 18.927,17 |
| შემოსავლები გაცვლითი ოპერაცი(ებ)იდან/ბარტერი (დღგ-ს ჩათვლით) | 2.446,00 |
| **სულ** | 32.499,84 |